



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/25

ქ. თბილისი

23 ივნისი 2021

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის საშტატო ნუსხის, შრომის ანაზღაურების, პირობების, დატვირთვის ზღვრული ოდენობის და სტუ-ის ფაკულტეტების 2021 წლის ბიუჯეტებსა და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცების თაობაზე

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ღ.ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 23 ივნისის №01-05-04/62 დადგენილების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, კარლო კოპალიანის 2021 წლის 22 ივნისის №0000616346 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 23 ივნისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის საშტატო ნუსხა, შრომის ანაზღაურება, პირობები და დატვირთვის ზღვრული ოდენობა (იხ. დანართი 1);
2. შესაბამისად, დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების 2021 წლის ბიუჯეტებსა და ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, კარლო კოპალიანის 2021 წლის 22 ივნისის №0000616346 წერილით მოთხოვნილი პარამეტრების თანახმად (იხ. დანართი 2);
3. დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის საშტატო ნუსხა, შრომის

ანაზღაურება, პირობები და დატვირთვის ზღვრული ოდენობა, ასევე, დადგენილების მეორე პუნქტით დამტკიცებული სტუ-ის ფაკულტეტების 2021 წლის ბიუჯეტებსა და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები ამოქმედდეს 2021 წლის 2 ოქტომბრიდან;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოვიძე